მერაბ კეზევაძე
ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

გელათში დაცული ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ნივთ–სამკაულის შესახებ

გელათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს საეკლესიო ნივთ–სამკაულთა განძთსაცავს. აქ ინახებოდა როგორც ადგილზე შექმნილი და სხვადასხვა პიროვნებების მიერ მონასტრისადმი შემოწირული საოქრომჭედლო ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, ასევე საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან დასაცავად გადმოტანილი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო განძეულობა. ასე აღმოჩნდნენ გელათის მონასტერში დაცულნი ხახულის ღმრთისმშობლისა და აწყურის ღმრთისმშობლის ხატები, ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი და კიდევ მრავალი სხვა სიწმინდე, რომელთაც 1920 წელს ჯრუჭის მონასტრიდან გადმოტანილი ძვირფასი საეკლესიო ნივთები დაემატათ.

1919 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებითა და ქუთაისის საეპარქიო საბჭოს ამავე წლის 28 ოქტომბრის №3776 მოხსენების საფუძველზე, „საეკლესიო ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი ნივთების შენახვის შესახებ", სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ მიიღო უმნიშვნელოვანესი განჩინება, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჯრუჭის, კაცხის ჭელიშის მონასტრის ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი ნივთები მოთავსებულ იქნას დროებით გელათის მონასტერში, წალენჯიხის, ლორცხელის და ახალ დაბის (ჭკადუაში) ხობში, ხელთნაწერები, ნაქსოვ-ნაკერები და გარდამოხსნები აღნიშნულ ალაგებიდგან გადმოტანილ იქნას დასაცველად ტფილისის საეკლესიო მუზეუმში, ხოლო მარტვილის მონასტრის სიძველეთა ადგილობრივ დასაცველად გამოთხოვილ იქმნეს ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოს მიერ დარაჯები".[1]

აღნიშნული განჩინების საფუძველზე 1919 წლის 27 ნოემბერს ქუთაისის საეპარქიო საბჭომ დაადგინა: „ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი ნივთები ჯრუჭის მონასტრიდან გადმოტანილი იქნეს გაენათის მონასტერში რკინისგზით დარეკეთის სადგურიდან გელათის სადგურამდე, საიდგანაც ურმით ატანილ იქმნან თვით გელათის მონასტერში.ამ ნივთებს ჯრუჭის მონასტერში ცალკე აღწერილობაზე ხელის მოწერის ქვეშ მიიღებს წამოსაღებად ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ეასილ დოლაბერიძე, რომელიც აგეთიეე აღწერილობაზე ხელწერილ ქვეშ ჩააბარებს იმ ნივთებს გელათის მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს ნესტორს. ეთხოვოს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს მოახდინოს განკარგულება რათა ეს ნივთები თავისი მხებლებით და მცველებით დაუბრკოლებლად იქმნენ მიღებული რკინისგზის მატარებელში".[2]

1920 წლის 30 იანვარს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად გელათის მონასტერში ჩამოტანილი იქნა დასაცავად ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი 47 დასახელების საეკლესიო ნივთი. ჯრუჭის მონასტერი გელათის მსგავსად მდიდარი იყო ძვირფასი ნივთებით, 1906 წლის აღწერის მიხედვით აქ დაცული იყო 60 ხატი (ძირითადად მოოქროვილი ვერცხლისა და ვერცხლის), 15 ვერცხლის კანდელი, 48 სამღვდელმთავრო შესამოსელი, 191 სამღვდელო შესამოსელი (ამ

[1] ქუთაისის ცს/ს არქივი. ფ. 21, ს. 28191, ფ 2
[2] იქვე. ფ. 7

უკანასკნელით განსაკუთრებით მდიდარი იყო ჯრუჭი), 88 ხელნაწერი და სხვა.[3]

ამ დიდი საგანძურიდან გელათში გადმოტანილი იქნა შემდეგი ნივთები (ჩაბარების სია მოგვაქვს უცვლელად):

„1. მომცრო ვერცხლის კოლოფი შუშის კარით სამი განყოფილებით. პირველ განყოფილებაში არის დაცული ბსის ხეზედ ამოჭრილი ხატი, რომელიც არის ოთხად გატეხილი და არის ჩასმული ოქროს ბუდეში, რომელსაც გარშემო აქვს 18 თვალი იაგუნდი და ფირუზები და ერთი მარგალიტი. მეორეში: ჯვარი რომელსაც ქვემო გვერდით არა აქვს საკეტი ლუსმანი, და მესამე ცარიელია.

2. ყოვლად წ-ა ღთისმშობლის ხატი ხეზე დახატული, რომელიც შემკობილია თხუთმეტი წითელი იაგუნდით, შვიდი ფირუზი, ორი თეთრი იაგუნდით და გარშემო შემოყოლებული აქვს წერილი მარგალიტები რომელიც აცმულია წერილ მართულზე ალაგ-ალაგ გაწყვეტილია და აკლია კიდეც.

3. ვედრების ღთისმშობლის ხატი, სიმაღლით 5 ვერშოკი განი 4 ვერშოკი ოცდაერთი თვალი სხვადასხვა ზომის ფერის და ღირსების.

4. ღვთისმშობლის ხატი ხეზედ დახატული გარშემო ვერცხლის არშია უპრობო აქვს, რომელიც შემკულია თერთმეტი მომსხო თვლებით და შვიდი მომცრო თლებით.

5. პატარა ღთისმშობლის ხატი რომლის მარჯვნის გვერდით აქვს სანაწილე. სანაწილეში არის პატარა ჯვარი უნაწილო და უთლოთ.

6. პატარა მრგვალი ვერცხლის ჯვარცმის ხატი, ნაწილებით ექვსი განყოფილებით, რომელთაგან ორში ნაწილები ამოღებულია, ხატი შუშით.

7. პატარა ვერცხლის კოლოფი რომლის ზემო პირზე არის ჯვარცმა გამოხატული. ამ კოლოფში არის უმცროსი ვერცხლისავე სადა კოლოფი, კოლოფში არის ჯვარცმის ოქროსი ხატი, რომელიც არის შემკობილი თოთხმეტი ფირუზით, ცამეტი იაგუნდით და ცამეტი წვრილ მარგალიტით და ნაწილებით ამ ხატზედ კიდია ოქროს ბეჭედი დიდი ფირუზის თელით, ოთხი პატარა მარგალიტით.

8. ღთისმშობლის ხატი ხეზედ გადაკრული მოოქრული ვერცხლით აქვს ორი მოვერცხლული კარები მოტეხილი, რომელზედაც გამოხატულია მთავარანგელოზები სიმაღლით ხუთ ვერშოკ ნახევარი სიგანით სამნახევარი ხატი შემკულია ორმოცდათექვსმეტი სხვადასხვა თვლებით. თვლების გარშემო შემოვლილია წვრილი და შვათანა ზომის მარგალიტებით. ხატის ზემოთ მოთავსებულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომლის გარშემო შემოვლილია შვათანა ზომის მარგალიტებით.

9. ვერცხლის კანდელი ხუთსანთლიანი რომელთაგან ერთი აკლია, წონით არის (რიე) 166 მისხალი. დასაკიდებელი ერთი გაწყვეტილია ბოლომოცილებულია მარა იმექონების.

10. ვერცხლის კანდელი ოთხსანთლიანი წონით ასსამოცდაათი (რო) მისხალი, ერთი ძეწკვი აკლია.

11. ვერცხლის კანდელი ოთხსანთლიანი უძეწკვო წონით ოთხმოცდაათი (ჟ) მისხალი.

12. ვერცხლის კანდელი ოთხსანთლიანი წონით (ჟ.ბ) ოთხმოცდათორმეტი მისხალი უძეწკვო.

13. ვერცხლის ოთხსანთლიანი კანდელი წონით ასოთხი (რ.დ.) მისხალი. უძეწკვო.

14. ვერცხლის კანდელი ოთხსანთლიანი წონით ასოთხი (რ.დ.) მისხალი. უძეწკვო.

---

[3] იქვე, ს. 22510

15. ვერცხლის კანდელი ოთხსანთლიანი წონით ასორმოცდაოთხი (რ.მ.დ.) მისხალი. ძეწკვით.

16. ვერცხლის პატარა კანდელი ჩუქურთმით და სამი ძეწკვით შუშის ჩასადგმელი.

17. ვერცხლის კანდელი ხუთსანთლიანი ორი ძეწკვით შემოწირული პოლკონიკის გრიგოლ წერეთლის. შემოწირული 1838 წელსა.

18. ვერცხლის კანდელი ხუთსანთლიანი სამი ძეწკვით. იმავე გრიგოლ წერეთლის შემოწირული 1838 წელსა.

19. ტრაპეზის სახარება ორივე გვერდით ვერცხლით მოჭედილი მოოქროვილი, ზედა პირზე არის ოთხი მახარებელი კუთხეებში, ხოლო შუაში ჯოჯოხეთით აღმოყვანება ადამის. შემოწირულია გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლისა.

20. სახარება პატარა ტანის ხელთნაწერი, ვერცხლით მოოქროვილი ყუთში ჩასვენებული ზედაპირზე არის ჯვარცმა,უკანა გვერდზე ადამის ჯოჯოხეთით აღმოყვანება, კამარაზე ოთხი მახარებელი.

21. სახარება პატარა ტანისა ხელთნაწერი ვერცხლის ყუთში ჩასვენებული. ზედა პირზე კუთხეებში მახარებლები. შუაში მაცხოვარი, ღთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. უკანა გვერდზედ პავლე, პეტრე, ანდრია და იაკობი. შუაზედ ჯვარცმა შემოწირული დავით მიტროპოლიტისა.

22. სახარება პატარა ტანისა ხელთნაწერი ბოხჩაში ჩადებული და ჩასვენებული ვერცხლის ყუთში. წინა პირზე არის გამოხატული კიდეებში მახარებლები შუაში არის მაცხოვარი, ღთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი უკანა გვერდზედ კიდეებში პეტრე, პავლე, იაკობ და ანდრია.შუაზედ ჯვარცმა.

23. ტრაპეზის დიდი ჯვარი ვერცხლისა, მხატვრობა რუსული მინანქრებით და შემკული ციბირის ქვებით ზოგან ქვები აკლია შემოწირული თავადი გრიგოლ წერეთლისა.

24. ხის ჯვარი მოოქრული ვერცხლით მოჭედილი ჩუქურთმით გამოხატულება ორივე მხარეზე ათონის ხელობა მხრებზე სამი ბოლო აკლია.

25. ტრაპეზზედ დასადები ხის ჯვარი პატარა ტანისა მოწედილი მოოქრული ვერცხლით,შემკული შვიდი იაგუნდის თვალით მერვე აკლია.

26. პატარა ვერცხლის ჯვარი ტრაპეზის დასასვენებელი მოოქრული შემკულია თექესმეტი პატარა მარგალიტით.

27. ვერცხლის ჯვარი პატარა ტანისა ტრაპეზზედ დასასვენებელი შიგ ხის მხატვრობა ათონის ხელობა, დანჟღრეული.

28. პატარა ბზის ჯვარი ვერცხლით მოჭედილი რომელსაც აქვს თეთრი და მეორე წითელი თვალი. ტარი მოტეხილი აქვს რომელიც იმექონების.

29. პატარა ბზის ჯვარი დანჟღრეული ათონის ხელობისა.

30. პატარა ჯვარი მარტორქისა ვერცხლით შეჭედილი ჩუქურთმის ტარით.

31. სამი ხის ჯვარი ათონის ხელობისა, ერთი ამათგანი ბაწრით დამაგრებული.

32. ერთი პატარა სპილენძის ჯვარი უბრალო სურათებით. ჯვარს აქვს სამი ქვა, ერთიც აკლია, მეორე გვერდზედ სანთელია ჩასხმული.

33. პატარა ხის ჯვარი ვერცხლით მოჭედილი დაჟღრეული. ტარი მოტეხილი მაგრამ იმექონების.

34. დიდი ვერცხლის ბარძიმი მოოქრული გარშემო ჩუქურთმა ხატებით რუსული მინანქრებისა, შემკულნი სხვადასხვა ფერი ციბირის ქვებითა შემოწირული თავად გრიგოლ წერეთლისა.

35. ვერცხლის ბარძიმი შუატანისა, მოოქრული გარშემო მხატვრობით რუსული მინანქრისა.

36. ორი პატარა ვერცხლის ჭურჭელი მდუღარებისათვის.

37. პატარა ოქროს ნაწილებიანი ხატი წმინდა დიმიტრისა ვერცხლის ძეწკვით. წინა პირი მინანქრისა შემოწირული გოდაბრელიძისა.

38. ვერცხლის სასაკმეველის ჭურჭელი ბალდახინი თავზედ.

39. ოქროს პატარა პანაგია შემკული ოცდაექვსი წითელი ქვით და ათი მწვანე ქვით. ბოლოზედ ჩამოკიდებული მტრედისფერი ქვებით. ზედ გამოხატულია სერობა, უძეწკვოთ.

40. ოქროს პანაღია შემკული ორმოცდათოთხმეტი სხვადასხვა ძვირფასი ქვებით. ზედ გამოხატულია სერობა, უძეწკვოთ.

41. დიდი ვერცხლის საიაზმე შემოწირული გრიგოლ წერეთლისა თაესახურით.

42. ვერცხლის სანაწილე მოოქრული ვერცხლის ძეწკვით, შიგ ასვენია წმინდანების ნაწილები შემკულია წინა პირზე სხვადასხვა ქვებით. ღთისმშობლის ხატი შემოწირულია მღ-მონაზონი ბიქტორ გიორგაძისაგან 1839 წ.

43. ვერცხლის წმინდა გიორგის ხატი მომრგვალო უძეწკვო. წინა პირი შემკულია ოცდაერთი სხვადასხვა ფერის ქვებით, უკან ხატი გასახსნელია შიგ ასვენია სხვადასხვა ნაწილები, რომელიც შემოუწირავს მღ-მონაზონ ბიქტორ გიორგაძეს.

44. ღთისმშობლის ხატი ხეზედ დახატული შეჭედილი ვერცხლით. უკანა გვერდზედ აქვს სანაწილე ცარიელი. სანაწილის კარებზე არის გამოხატული სამი წმიდანები ზედ წარწერით.

45. პატარა სანაწილე ვერცხლის ხატი. გრიგოლ წერეთლის ნაქონი.

46. სინაზე აცმული ორი პატარა ჯვარი ერთი ოქროსი და მეორე ვერცხლის და ორი ბეჭედი: ეროი ოქროსი წითელი ქვით და მეორე უბრალო მწვანე ქვით, რომელზეც ჩამოკიდებულია პატარა მარგალიტი.

47. ერთი პატარა ვერცხლის ყუთი ორი განყოფილებით და ორი კარებით. დაახლოებით ორი გირვანქაზედ ცოტა მეტი. ამ ყუთში აწყვია ორი ვერცხლის ბალთა ორივე შემკული ხუთი მწვანე თვლებით.სახარების საკეტი ვერცხლისა, ერთი ცალი ოქროსი პატარა ჯვარი შემკული შვიდი ძვირფასი წითელი ქვით, ორი ფირუზით და ოთხი მარგალიტით. ერთი ოქროს ბეჭედი უთვალოთ, ვერცხლის ძეწკვის ნაწყვეტი. ჯვარი სახედ მოოქრული, ორდენი ანნას მესამე ხარისხისა; ვერცხლის შანდალი, ეროი პატარა ხატი ვერცხლისა ნაწილებიანი. შემკულია თერთმეტი სხვადასხვა ქვით. შემოწირულია დიმიტრი ამილახვარისაგან, ორი ვერცხლის ბალთა და ორი ვარსკვლავი ვერცხლისა".[4]

გელათისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერია ნათქვამი ამ ნივთების გელათში გადმოტანაზე, მითუმეტეს, მათ შემდგომ ბედზე, არადა ზოგ მათგანს საინტერესო თავგადასავალი გადახდა.

შ. ამირანაშვილის ნაშრომში "საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება" (თბილისი 1978) ჩემი ყურადღება მიიქცია იმ ნივთებმა, რომლებიც ძმების, მიტროპოლიტ დავითისა და გრიგოლ წერეთლების სახელებს უკავშირდება, ესენია: ნაშრომის საკულტო და საეკლესიო დანიშნულების ნივთების განყოფილებაში მოხსენიებული: №11 ღმრთისმშობლის ხატი, №15 ღმრთისმშობლის ხატი ყრმით ხელში, №143 ბაჯაღლო ოქროს მრგვალი პანაგია და №150 ოქროსა და ვერცხლის პანაგია. №159 გრ. წერეთლის ვერცხლის ლამპარი.[5] საინტერესოა საიდან უნდა მოხვედრილიყვნენ აღნიშნული ნივთები საფრანგეთში და რომელი მონასტრის კუთვნილებას შეადგენდნენ ისინი წერეთლების ნებით. ცნობილია, რომ წერეთლების საგ-

[4] იქვე, ს. 28191, ფ. 13,14

ვარეულო მონასტერი მე-18 საუკუნიდან იყო ჯრუჭი. სწორედ წერეთლებმა შესწირეს მას დიდი ადგილ-მამულები და ქონება (მათ შორის საეკლესიო ნიეთ-სამკაულნი – ამას მონასტრის ქონების სხვადასხვა წლების აღწერები ადასტურებენ), სწორედ მას უანდერძა დაეით მიტროპოლიტმა მთელი თავისი ქონება გარდაცვალების შემდეგ, სწორედ მისი წინამძღვრობისას დაემსგავსა ჯრუჭი „პატარა ქალაქს", ამიტომაც ეჭვს არ იწვევს ზემოთ აღნიშნული ნივთების (განსაკუთრებით ხატების) ჯრუჭის მონასტრიდან წარმომავლობა (სხვა ვარაუდს გამორიცხავს ისიც, რომ მე-19 საუკუნის იმერეთის არცერთ მონასტერში, რომ არაფერი ეთქვათ აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრებზე, არ დასტურდება დავით და გრიგოლ წერეთლების შეწირული ნივთები), მაგრამ როგორ მოხვდნენ ისინი ჯრუჭიდან საფრანგეთში?

ცნობილი ფაქტია, რომ 1921 წლის 21 თებერვალს მენშევიკური მთავრობის მიერ ქუთაისში ჩამოტანილ და იქაურ ხაზინაში დაბინავებულ განძეულობას ადგილზე დახვდა ძვირფასი საეკლესიო ქონება. როგორც ჟორდანია წერს: „ჯერ კიდევ თბილისური განძისა და სხვა ქონების მიღებამდე, 1920 წლის დამლევს, ქუთაისის ხაზინას შემატებია მეტად ძვირფასი განძეულობა დასავლეთ საქართველოს მონასტერთა საცავებიდან – მარტვილიდან და გელათიდან. მაგრამ გელათის მონასტრის განძეულობა ჩამოუტანია არაკომპეტენტურ პირს, რომელსაც ძვირფას ნივთებთან ერთად გელათიდან წამოუღია ნაკლებ ღირებულიც", ამიტომ ეს ნიეთები ქუთაისის ხაზინაში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს გადაურჩენია და რაც „სამუზეუმოდ უცვნია ყუთებში ჩაულაგებიათ, დაუბეჭდიათ და ვაგზალზე გასაგზავნად გაუმზადებიათ; ხოლო დანარჩენი ქონება ხელწერილით ჩაუბარებიათ მიტროპოლიტ ნაზარის წარმომადგენლისათვის."[6] სამუზეუმო ქონება მოუთავსებიათ 19 მომცრო ყუთში. გ. ჟორდანიას აზრით „აქედან ალბათ ერთი იყო მარტვილის ქონებით დატვირთული, დანარჩენი თვრამეტი – გელათური ქონებით."[7]

ჩემი აზრით სწორედ „გელათურ ქონებაში" იდო შემდგომში საფრანგეთიდან დაბრუნებული ზემოთ ხსენებული წერეთლებისეული ნივთები, რომლებიც აქ, ქუთაისის ხაზინაში 1920 წლის 23 ნოემბერს იქნა ჩამოტანილი გელათის მონასტრიდან ამავე მონასტრის კუთვნილ ქონებასთან ერთად, რაც დასტურდება გაზეთ „საქართველოს" 1920 წლის 10 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი გელათის მონასტრიდან ქუთაისის ხაზინაში ჩამოტანილი ნივთების სიით, სადაც გელათის კუთვნილ ნივთებთან ერთად ჩამოთელილია ჯრუჭის მონასტრისეული ნივთები, რომლებიც ერთ ყუთში ყოფილა მოთავსებული ოღონდ, თუ გელათში გადმოტანისას აღნიშული ნივთები 47 დასახელებაში იყო გატარებული (რიცხობრივად გაცილებით მეტი იყო) ხაზინაში წამოღებისას 30 დასახელებად აღნუსხეს. ჩამოტანილი ნივთები, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გადაარჩია ექვთიმე თაყაიშვილმა, რომლებიც შემდეგ საფრანგეთში აღმოჩნდნენ. საფრანგეთში, რომ ჯრუჭის მონასტრისეული გაცილებით მეტი ნივთი იქნა გატანილი ეიდრე შ. ამირანაშვილთან აღნიშნული ხუთი წერეთლებისეული ნივთი, ამას დაბრუნებული საგანძურისა და ჯრუჭის მონასტრის აღწერილობების შემდგომი მეცნიერული შესწავლა დაადასტურებს.

---

[5] შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადსხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ. 1978, გვ. 46, 47, 56

[6] გ. ჟორდანია, დაბრუნებული საუნჯე, თბ. 1983, გვ. 43

[7] იქვე, გვ. 46

Merab Kezevadze

On Ecclesiastical Objects Beloging to Jruchi Monastery Kept in Gelati

Over the centuries, Gelati monastery was one of the largest depositories of the ecclesiastical treasuries in Georgia. It housed not only objects, which were produced locally or donated to Gelati, but also precious icons and crosses (e.g. icon of the Virgin from Khakhuli, icon of the Virgin from Atskuri, etc.) brought to the monastery from all over Gerogia. On 30 October 1919, due to the current situation in the Georgian Democratic Republic and based on a report N 3776 of 23 October, of the Kutaisi Patriarchate Council, Catholicos Council of Georgia had taken a decision on temporal removal of objects from Jruchi, Katskhi and Chelishi monasteries to Gelati (simultaneously, objects from Tsalenjikha, Kortskheli and Chkadua Akhaldaba monasteries were taken to Khobi monastery, while manuscripts and tapestry belonging to these three monasteries were brought to Tbilisi Ecclesiastical Museum). Alongside this order, on 27 Novmber 1919, Kutaisi Patriarchate Council had issued an instruction to hand over objects of Jruchi monastery to Nestor, abbot of Gelati monastery, according to the hand over list of objects. Based on this decision, on 20 January 1920, 47 objects were brought to Gelati monastery from Jruchi (as evidenced by the record of 1906, Jruchi monstery had 60 icons, 15 silver chandeliers, 48 vestments for high clergy, 191 vestments for clergy, 88 manuscripts, etc.). As seen from the hand over list, among these were 13 icons, 11 crosses, 10 chandeliers, 4 Gospels, 2 Panagiae, etc., as well as donations of the brothers Grigol and Davit Tsereteli (the latter was a metropolitan). List of ecclesiastical objects taken abroad by the Menshevik Government of Georgia in February 1921, included in Sh. Amiranashvili's book "Museum Treasury Taken from Georgia at Various Periods and Its Return" (Tb., 1978), names objects commissioned by the Tseretelis. It is known that from 18th c. Jruchi was a family monastery of the Tseretelis and their donations were made to this particular monastery and not any other in western or eastern Georgia. Besides, on 23 November 1920, further to the instruction of the Georgian Government, objects belonging to Gelati were housed in Kutaisi Treasury and, as indicated in a publication in the newspaper "Sakartvelo" (10 December 1920), objects belonging to Jruchi monastery were also among them. After this, in Kutaisi, in February 1921, E. Takaishvili had selected objects (18 boxen) to be taken to France from those housed in the Treasury. 5 objects donated to Jruchi monastery by the Tseretelis (in reality they should have been more) mentioned by Sh. Amiranashvili should have been included in these selected objects.